ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 მაისი, კვირა, 1990 წ.
№ 93 (102 62) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# მეთორმეტე, ტრადიციული...

### საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე

ყოველ წელიწადს, მაისის ბოლოს, ჩვენთან რედაქციაში მოდის ლამაზი ქალი, რომელიც რალაცით ჟაკლინ კენედის (ონასისს) ჰგავს, და გვაცნობებს, რომ იწყება საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე. 1981 წლიდან ტურნირი „საერთაშორისოს" ოფიციალურ სტატუსს ატარებს, იგი შეტანილია სამოყვარულო ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (ფინა-ს) კალენდარში, ასე რომ, მზია გიორგობიანი, ჩვენი ჟურნალისტთა კავშირის კონსულტანტი, ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, ჩვენთან უკვე მეთორმეტე გაზაფხულია მოდის. მერე, რამდენიმე დღეს, ქალაქში სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ლამაზი, ტანადი ახალგაზრდები იწყებენ სიარულს, თბილისის ლია საწყლოსნო-სპორტულ კომპლექსში კი, მტკვრის სანაპიროზე, შეგიძლიათ იხილოთ განუმეორებელი სანახაობა — ნალდი წყალბურთი.

ეს ნამდვილი დღესასწაულია და, თუ წყალბურთი გიყვართ, ალბათ თქვენთვისაც.

იქნებ ამიტომაც არის— თუ გიყვარს, — ასე რომ გიჭირს ყურება, თუ როგორ თვალდათვალ ეცემა ჩვენი ტურნირის პრესტიჟი. გახსოვთ, როგორი ვარსკვლავები ჩამოდიოდნენ ჩვენთან? მხოლოდ აქ, თბილისში, საბჭოთა კავშირის ერთადერთ ქალაქში, შეგეძლოთ გეხილათ ერთ ტურნირში იუგოსლავიის, უნგრეთის, აშშ-ის, ესპანეთის, რუმინეთის, იტალიის, გფრ-ის, ჰოლანდიის, კუბის გუნდები. 80-იანი წლების მსოფლიო წყალბურთის ცისკიდურზე არ ყოფილა ისეთი „ვარსკვლავი" (გარდა იტალიელი დე მაგისტრისა), რომელსაც თბილისში ვერ ნახავ-

იხ. მე-3 გვ.





ახლოვდება 26 მაისი — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე! ამ საყოველთაო სახალხო დღესასწაულს თავის ღონისძიებებს უძღვნიან ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები. გუშინ დილით თბილისის იპოდრომზე შეიკრიბნენ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის თაოსნობით ორდღიან ცხენოსნურ ლაშქრობას უძღვნიან ეროვნულ დღესასწაულს.

ლაშქრობის მონაწილენი ვერეს ხეობის გავლით ავლენ ბეთანიაში, იქ გაათევენ ღამეს და შინ დღეს საღამოს დაბრუნდებიან.

## დაჯილდოება

საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომმა საპატიო სიგელით და დიდი სამახსოვრო ოქროს მედლით დააჯილდოვა აკრობატიკის სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლის დირექტორი მიხეილ გიორგის ძე ბებელია.

## პრესტიჟული გამარჯვება

არაერთი ასპარეზობა მიეძღვნა ფაშიზმზე გამარჯვების 45-ე წლისთავს. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, ჩელიაბინსკელი სერგეი ხოხრიაკოვის საკავშირო მემორიალური ტურნირი კრივში, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა. მსგავსი შეჯიბრებები, როგორც წესი, გამოირჩევა მასობრიობით და გამონაკლისი არც ეს ორთაბრძოლები იყო. მასში 350-ზე მეტი მოკრივე სცდიდა ძალას. სარბიელზე იყვნენ რსფსრ-ს, ლენინგრადისა და სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები. საქართველოს ღირსებას იცავდა 10 მოკრივე.

თავი ისახელა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა ჯაბა ცუხიშვილმა, რომელმაც გაიმარჯვა ყველაზე პრესტიჟულ — 91 კგ-ს ზევით წონით კატეგორიაში. მისი მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. გიორგაძე. ამავე სასწავლებლის სტუდენტმა ნიკოლოზ სუხაშვილმა (71 კგ) კი მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლა, აგრეთვე, სოხუმელი ა. კაფსუზიანი (63,5 კგ).

ა. გიორგაძე,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

## გულისტკივილი

აგერ ერთი კვირაა, თავს ვიკავებდით, არ გვინდოდა ვინმეს ეფიქრა, რომ ემოციებმა აგვიყოლია და ამიტომ მწარე გამოგვივიდა სათქმელი. რედაქციის მუშაკებისთვის ერთი კვირა სრულიად საკმარისია, რომ ყველაფერი დინჯად აწონოს და ისე გამოხატოს თავისი პოზიცია.

ზუსტად ერთი კვირა გვაშორებს 18 მაისს, როცა საქართველოში პირველად აღინიშნა ოლიმპიური დღე. ეს იყო ჭეშმარიტად დიდი ეროვნული დღესასწაული, რომლის შესახებ მთელმა მსოფლიომ გაიგო. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, ეს დღე რესპუბლიკაში ყველგან აღინიშნა. თბილისში, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, ჩატარდა 18 კილომეტრიანი გარბენი — 800 არაგველის ობელისკიდან სპორტული დიდების ხეივნამდე. ეს გარბენი საქართველოს ეროვნულ გმირთა ხსოვნას მიეძღვნა და ამიერიდან ყოველწლიურად გაიმართება. იმედი გვქონდა, რომ ამ დღეს ყველგან ვიხილავდით საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონებს, ისინი ინტერესს შემატებდნენ და გაალამაზებდნენ ამ ზეიმს, მაგრამ თბილისში არც ერთი ოლიმპიური ჩემპიონი, არც ერთი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი, ვეტერანი სპორტსმენი ამ დღეს გარეთ არ გამოსულა, მეტიც, მიუხედავად გაზეთში გამოქვეყნებული თხოვნისა, არც ერთი მათგანი არ მოვიდა სპორტული დიდების ხეივანში, სადაც გათვალისწინებული იყო მათი მონაწილეობით 800 არაგველის ძეგლიდან წამოღებული ჩირაღდნით სიმბოლური ცეცხლის ანთება.

რა დავარქვათ ყოველივე ამას? უმადურობა თუ საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის უპატივცემულობა? და კიდევ ერთი: რატომ გაუდგა განზე ამ ღონისძიებას საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი? აქვე გვინდა ვიკითხოთ, საერთოდ აკეთებს კი რაიმეს ოლიმპიურ ჩემპიონთა ეს საკრებულო? ერთადერთი ვინც შეგვატყობინა, რომ 18 მაისს საპატიო მიზეზის გამო ჩვენთან ვერ იქნებოდა, ოლიმპიური ჩემპიონი რ. შავლაყაძე იყო.

ვგრძნობთ, რომ შეიძლება ამ რეპლიკამ გული ატკინოს ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს, მაგრამ განა იმათ არ ატკინეთ გული, ძვირფასო ჩემპიონებო, ვინც თქვენგან მხარდაჭერას და თანადგომას მოელოდა?



გუშინ ქუთაისიდან მივიღეთ ინფორმაცია და ფოტოსურათები, რომლებიც 18 მაისს ამ ქალაქში ოლიმპიური დღის აღნიშვნის ეპიზოდებს გვაცნობს. გაზეთმა „ქუთაისმა" (რედაქტორი ა. შენგელია) 18 მაისამდე დიდი პროპაგანდა გასწია, რომ ოლიმპიური დღე მასობრივ ფიზკულტურულ-სპორტულ ზეიმად ქცეულიყო. ქუთაისელებმა მიზანს მიაღწიეს, საქალაქო გაზეთმა კი ჩატარებულ ღონისძიებას მთელი გვერდი მიუძღვნა. ერთ-ერთ სურათზე თქვენ ხედავთ ჩვენ სახელოვან ფალავანს თემურ აფხაზავას, რომელმაც ნორჩი ველოსიპედისტები მათთვის პირველ სტარტზე გააცილა.

ოლიმპიური დღის მაღალ დონეზე ორგანიზაციაში დიდი წვლილი შეიტანა ქალაქის სპორტკომიტეტმა და ხეოკ-ის რეგიონალურმა ორგანიზაციამ.

თ. ჯავახაძის ფოტოები.







# დირექტორი

ამ ნარკვევის გმირი, როცა მასთან სასაუბროდ მივედით, შეუძლოდ დაგვხვდა — ოპერაციის შემდეგ ლაპარაკიც არ შეეძლო. თუმცა, მეორე მხრივ, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის მიხეილ გეგელიას შესახებ თვით მისი საქმე ლაპარაკობს.

აკრობატიკის სპეციალიზებულმა რესპუბლიკურმა სკოლამ, რომლის დირექტორიც იგი გახლავთ, ათი მსოფლიო ჩემპიონი აღზარდა. გარდა ამისა, ათ წელზე მეტია, სკოლა ამ პროფილის სასწავლებლებს შორის პირველობას არავის უთმობს.

მაინც რაშია სკოლის წარმატების საიდუმლოება?

ამის შესახებ ბატონ მიხეილთან არაერთხელ მისაუბრია. ზოგიერთი მისი მოსაზრება „ჩამინიშნია კიდეც. და აი, მაშინდელმა თადარიგიანობამ დღეს საქმე გამიიოლა...

—ამ სკოლის დირექტორად რომ დამნიშნეს, — მითხრა ერთხელ ბატონმა მიხეილმა, —ჩვენს რესპუბლიკაში ძალიან ჩამორჩენილი იყო მხატვრული ტანვარჯიში. მისი აღორძინება საქმიანობის ძირეულ გარდაქმნას მოითხოვდა. საჭირო გახდა ახალგაზრდა კადრების მომზადება, მაგრამ ეს არც ისე ადვილი განსახორციელებელი იყო. ძველი თაობა პოზიციების დათმობას არ აპირებდა. ამას გარდა, რესპუბლიკაში არ გვქონდა სათანადო სპორტული ფორმები, ინვენტარი, სასწავლო ბაზები. ხანგრძლივი დროის მანძილზე სასწავლო პროცესის უკიდურესად დაბალი დონის გამო ახალგაზრდა, პერსპექტიული მწვრთნელი სანთლით საძებარი გაგვიხდა. გადაუდებელი საქმე იყო კონტაქტის დამყარება საბჭოთა კავშირის მხატვრული ტანვარჯიშის წამყვან ცენტრებთან, ცნობილ სპეციალისტებთან. აუცილებელი იყო კარგად მოფიქრებულ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი, სადაც დიდი ადგილი დაეთმობოდა ოფიციალურ სამატჩო შეხვედრებს ძლიერ გუნდებთან. სკოლამ იტვირთა მაორგანიზებელი როლი. ახალგაზრდა ნიჭიერ მწვრთნელთა შორის აშკარად გამოირჩეოდა ნელი სალაძე. გადახალისდა მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდიუმი. მხატვრულ ტანმოვარჯიშეებს გარკვეული დროით სავარჯიშოდ დაეთმოთ სპორტის სასახლე, უნივერსიტეტი, 63-ე საშუალო სკოლის დარბაზი. ორი წლის მანძილზე ორჯერ მოვიწვიეთ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის ქორეოგრაფი ვიქტორ სერგეევი. ამავე პერიოდში მივლინებით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვალენტინა ბატაენი. ჩვენს გოგოებთან იმუშავეს აგრეთვე, ცნობილმა მწვრთნელებმა ალბინა დერიუგინამ, ნატაშა სავინკოვამ და სხვებმა. საქართველოში თვრამეტი საკავშირო მასშტაბის ღონისძიება ჩატარდა. ამ შეჯიბრებებმა, ცხადია, ხელი შეუწყო ჩვენი წამყვანი ტანმოვარჯიშეების — ირინე გაბაშვილის, ორივე ლალი დოლიძის, ირინა ქემჩუქინას, მარინე მორბედაძის, ნატალია რუტმანის და ირმა ყიფშიძის სწრაფ დაოსტატებას. უკვე 1976 წელს ქართული ტანვარჯიში მოწინავე პოზიციებს მიუახლოვდა. კიდევ ორი წლის შემდეგ ირინე გაბაშვილი და ლალი დოლიძე საბჭოთა კავშირის სამ საუკეთესო ტანმოვარჯიშეს შორის მოხვდნენ. ეს იყო ნაწილი იმ გეგმისა, რომელსაც საბოლოო გამარჯვებამდე უნდა მივეყვანეთ. და აი, 1979 წლის ივლისში ლონდონში ნელი სალაძის აღზრდილებმა ირინე გაბაშვილმა და ლალი დოლიძემ მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს: ირინემ გაიმარჯვა ბურთით ვარჯიშში, ლალიმ — ჯგუფურში. ერთი თვის შემდეგ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ჩვენმა ნაკრებმა მესამე გუნდური ადგილი დაიკავა, ხოლო ირინე გაბაშვილმა ოთხი ოქროს მედალი დაისაკუთრა. ამით დასრულდა ჩვენი გენერალური გეგმა. ახლა პოზიციების განმტკიცებაზე უნდა გვეზრუნა. განვითარების ამ დონიდან ხომ მეტის მიღწევა შეიძლებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. შემდეგი წლიდან „კომპეტენტურმა“ ბიუროკრატიულმა ორგანოებმა სკოლას მაორგანიზებელი ფუნქციები წაართვეს, 1984 წლის დამდეგიდან კი მხოლოდ აკრობატიკა დაუტოვეს. არ მინდა მხატვრულ ტანვარჯიშთან დაკავშირებით ჩემი ნათქვამი ნაწყენი კაცის ჩივილს დაემსგავსოს, მაგრამ ვფიქრობ, მომავალმა დაადასტურა იმ გადაწყვეტილების მცდარობა (ბატონ მიხეილს „კონკრეტული მისამართი“ არ დაუსახელებია და აღარც ჩვენ ჩავეძიეთ). ერთი კი უნდა ვთქვა: ზემდგომმა ორგანოებმა არ დააყოვნეს და სკოლას მხატვრული ტანვარჯიშის სანაცვლოდ მაგიდის ჩოგბურთი (?!) „შეუერთეს“.

მხატვრული ტანვარჯიში და აკრობატიკა მონათესავე სახეობებია. მათი შეთავსება ბუნებრივი იყო, სკოლაში მაგიდის ჩოგბურთის დანერგვა კი იმას ნიშნავდა, რომ ვეღარც აკრობატიკისთვის უნდა მიგვეხედა. ამიტომ, მიუხედავად ძალდატანებისა, მე სასტიკი უარი განვაცხადე, თუმცა ჩვენს სამსახურებრივ ბეჭედს დიდხანს ეწერა „მაგიდის ჩოგბურთისა და აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლა“.

**ვლადიმერ გურგენიძე. საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი აკრობატიკაში:**

— საბჭოთა კავშირის ყველა დიდი თუ მცირე გაჭირვების ერთ ძირითად მიზეზად ის მიმაჩნია, რომ გვაკლია „პროფესიონალები“, თავისი საქმის მცოდნე ადამიანები. სპორტში ეს განსაკუთრებით იგრძნობა. მიხეილი პროფესიონალია. იგი არა მარტო იშვიათი ორგანიზატორია, არამედ შესანიშნავად იცნობს წვრთნის მოწინავე მეთოდებს. გარდა ამისა, მისი დამოკიდებულება თანამშრომლებისადმი ძალდაუტანებელი და ბუნებრივია. ფართო ინტელექტი საშუალებას აძლევს ყველა მწვრთნელსა თუ სპორტსმენს ინდივიდუალურად მიუდგეს. მის დიდ ადამიანურ თვისებაზე მეტყველებს ის, რომ იგი მოქმედებს ყოველთვის საქმის ინტერესით და არა პირადი ახირებით. ამიტომ ისინიც კი, ვისაც დირექტორისგან საყვედური რგებია, გულნატკენი არასოდეს დარჩენილან. ყოფილა შემთხვევა, რომელიმე ტიტულოვან სპორტსმენს „თავში ავარდნია“. ბატონი მიხეილი ისე ტაქტიანად დაუწყებდა საუბარს, ისე დაანამუსებდა ხოლმე, რომ სპორტსმენი დისციპლინას აღარასოდეს არღვევდა.

**რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი თამაზ ბუზიაშვილი:**

— იმისათვის, რომ მწვრთნელები უფრო ახლოს, უფრო მეგობრულად ვყოფილიყავით ერთმანეთთან, ბატონი მიხეილი ხშირად აწყობდა ექსკურსიებს. ბუნებაში ადამიანი, მოგეხსენებათ, უფრო გულახდილი და გულითადი ხდება. ბატონი მიხეილი აქტიურობდა, თამადადაც დალგებოდა ხოლმე. არ მახსოვს, ამ დროს ვინმეს ზედმეტი დაელიოს, უკადრისი სიტყვა წამოსცდენოდეს. საერთოდ, მაღალი პროფესიონალიზმის გამო მას არ უჭირდა გაეგო ჩვენი ესა თუ ის თხოვნა. მისი ჩარევა მწვრთნელთა მუშაობაში, ისეთ რთულ საქმეშიც კი, როგორიც სპორტსმენთა ამპლუის შეცვლაა, ყოველთვის დროული იყო. იგივე ითქმის სხვა ქალაქებიდან ნიჭიერ სპორტსმენთა თბილისში გადმოყვანაზე. ახალბედა პერსპექტიულ მწვრთნელებს ბატონი მიხეილი გამოცდილებს ჩააბარებდა ხოლმე. მაგალითად, ასე ჩააბარა ვლადიმერ გურგენიძეს მისი სკოლის აღზრდილი ყველა მსოფლიო ჩემპიონი აკრობატიკაში —ლილი კვთიაშვილი, ნანა პატარიძე, მარინე ცაცაშვილი.

მისი მეთვალყურეობით ავარჯიშებდა შეგირდებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნინო ბერიანიძე.

მწვრთნელთა შორის მეგობრული, ჯანსაღი დამოკიდებულება შეგირდებსაც „გადაედოთ“. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენს აკრობატებს სპარტაკიადებსა თუ სხვა სპორტულ ღონისძიებებზე დისციპლინა დაერღვიოთ, ამ მიზეზით ვინმეს მათთვის შენიშვნა მიეცეს. ბატონი მიხეილის ერთი დიდებული თვისება ისაა, რომ, თუმცა შესანიშნავი მეხსიერება აქვს, ყოველთვის ავიწყდება, ჩვენს მიერ უნებლიეთ მიყენებული წყენა. ალბათ ამის გამოცაა, რომ დიდი თუ პატარა, განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობა. მახსოვს, თიანეთში, საზაფხულო სპორტულ ბანაკში, ყოველ ფიზკულტურელის დღეს ბატონი მიხეილი 80-კილოგრამიან ტორტს აცხობინებდა. ამ გიგანტური ნამცხვრისთვის მარწყვი თავისი ძმის, აკადემიკოს თენგიზ გეგელიას ბაღიდან მოჰქონდა, რომელიც აქვე გვერდით იყო.

**მიხეილ გეგელია: მწვრთნელს პაერივით სჭირდება მეცნიერული კვლევის შედეგების გაცნობა, სადა, გასაგები ენით დაწერილი წიგნები წვრთნის პედაგოგიური პროცესის აგებაზე. ვერ ვიტყვი, რომ ასეთი წიგნი ცოტაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ხშირად დარბაზიდან შორს, კაბინეტებში იწერება. მწვრთნელები უმეტესად თავიანთი გამოცდილებისა თუ ინტუიციის იმედით არიან, რაც ზოგჯერ აფერხებს სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარებას.**

მახსოვს, ბატონმა მიხეილმა სპორტის მუშაკთა ერთ-ერთ შეკრებაზე აღნიშნა: მწვრთნელის მუშაობას შესაფერისი შეფასება უნდა ეძლეოდეს, კარგს — კარგი და ცუდს — ცუდიო. ეს კი არც ახლა კეთდება. უსაქმურისა და გამრჯელის შრომის ანაზღაურება ხშირად გათანაბრებულია.

**სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგე თეიმურაზ ცაბაძე:**

— სკოლის მწვრთნელები, რომლებიც შედეგიანობით გამოირჩევიან, შესაბამის ხელფასსაც იღებენ, ბოლო ორი წელია, სკოლის ეკონომიის ხარჯზე მწვრთნელებს პრემია ეძლევათ.

ბატონი მიხეილი ქართული სპორტის ერთ-ერთი ამაგდარია. არა, მისი ცხოვრების გზა ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი, მას ამ გზაზე მრავალი დაბრკოლების გადალახვა უხდება. უმადურიც ბევრი შეხვედრია, ვისაც მისი კაცობა და სიკეთე ვერ დაუნახავს. მაგრამ, საბედნიეროდ, ბატონ მიხეილს ხელი ვერ შეუშალეს, რომ თავისი საქმე კარგად ექეთებინა. მისი მოღვაწეობის ყველაზე დიდ აღიარებად ჩვენ მაინც ის მიგვაჩნია, რომ დღეს აკრობატიკის სპეციალიზებულ რესპუბლიკურ სკოლას გეგელიას სკოლას უწოდებენ და სპორტში, ასე თუ ისე, ჩახედული კაცი არასოდეს იკითხავს, რომელ სკოლაზეა ლაპარაკი.

**ჯემალ კახრაძე.**

# „საქსპორტკულტსაქონელი“:

## მყიდველთათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად

**ოთხი** მაღაზია, რომელთა გარეგნული სახე და ინტერიერი მშენებლებმა შეასრულეს დიზაინის თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით, ამ დღეებში გაიხსნა საქართველოს დედაქალაქში და ამით გაფართოვდა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „საქსპორტკულტსაქონლის“ სავაჭრო ობიექტების ქსელი.

— პრინციპი „ყველაფერი მყიდველისათვის მოხერხებული პირობების შესაქმნელად“ ჩვენი კოლექტივისათვის უბრალოდ მოარული ფრაზა კი არა, მთელი მუშაობის დევიზია, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან ალბერტ ვიგნანსკისთან საუბარში გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა მელორ ტყეშელაშვილმა. — ამ გაზაფხულზე ახალი სავაჭრო წერტების გახსნა კი ამის კიდევ ერთი დადასტურებაა. ყველა მაღაზია გაიხსნა ქალაქის ცენტრიდან დაშორებით, ახალმშენებლობების რაიონებში — დიდ დიღომში, ვარკეთილი-3 დასახლებაში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მეშვიდე კვარტალსა და ლილოში. აქ შეიძლება შეიძინოთ ველოსიპედები, ბურთები, სპორტული ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, ტრენაჟორები, საბავშვო საქონელი, ტელევიზორები...

ვაჭრობაში სიახლე გახდა ბაზა-მაღაზია ლილოში, რომლის ვრცელ სალონებში შესაძლებელია დიდგაბარიტიანი ნივთების — შვედური კედლის, მოტოციკლების, ტანვარჯიშული ინვენტარის, მუსიკალური საკრავების, პიანინოსა და სხვა ნაწარმის გაყიდვა. ამ უნიკალური მაღაზიის ტერიტორიაზე შეიძლება შეისყიდოთ გარაჟი, დიდგაბარიტიანი ლითონის კარი. ყოველივე ეს იყიდება შინ მიტანით, თანაც საქონლის შეძენა შეიძლება როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ისე გადარიცხვით. სხვათა შორის, ნიმუშების სალონში გამოცდილი საქონელმცოდნეები დაგვეხმარებიან საჭირო ნაწარმის შერჩევაში, გაგვიწევენ კვალიფიციურ კონსულტაციას.

გამუდმებით ფართოვდება გაერთიანების სავაჭრო ობიექტების ქსელი. ბათუმში, ქობულეთში, გაგრაში, წყალტუბოში, ზესტაფონში, ბორჯომში, ახალციხეში, რუსთავში, კაჭრეთში, გუდაურში აშენდა ახალი, კაპიტალურად შეკეთდა ძველი მაღაზიები. ხელმძღვანელობას ჩაფიქრებული აქვს თანამედროვე საფირმო მაღაზიის მშენებლობისათვის გამოიყენოს კ. ცეტკინის ქუჩაზე ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრის გვერდით მდებარე ადმინისტრაციული შენობა. ასეთი გაცხოველებული სავაჭრო ადგილის კანტორად გამოყენება უბრალოდ, ირაგონივრულია, — მიაჩნია მ. ტყეშელაშვილს.

— აი კიდევ რისი თქმა მინდოდა, — თქვა შემდეგ გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა.— ჩვენი კოლექტივი მონაწილეობს რესპუბლიკაში განხორციელებულ ყველა საქველმოქმედო აქციასა და ღონისძიებაში, შეაქვს თავისი წვლილი სტიქიით დაზარალებულების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაში. და არა მარტო ხელფასიდან გადარიცხული ფულადი სახსრებით, არამედ საქონლითაც. რამდენიმე ათასი მანეთი გადავრიცხეთ საქველმოქმედო კოოპერატივის „უნივერსის“ ფონდში, ასი ათასი მანეთი გადავურიცხეთ დმანისის რაიონს, 50 ათასი მანეთი — მერაბ კოსტავას ფონდს, დიდი სახსრები გადავრიცხეთ ხარაგაულის რაიონში გზების, თბილისის თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის პროსპექტების კეთილმოწყობისათვის.



ლილოს მაღაზიის ერთ-ერთ სექციაში.



ახალი მაღაზიის ინტერიერი ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მეშვიდე კვარტალში.



ვარკეთილი-3 საცხოვრებელ მასივში გახსნილი მაღაზიის „სავიზიტო ბარათი“.

ვივი კიკვაძის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# გრაფი და ზვერევა



**დასავლეთ ბერლინი.** გაიმართა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალური შეხვედრები. საქართველოს სპორტის მოყვარულთა ყურადღება, ბუნებრივია, მიპყრობილი იყო თბილისელი ლეილა მესხისა და დასავლეთგერმანელი შტეფი გრაფის შეხვედრისადმი. პირველი პარტია მსოფლიოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა დიდის გაჭირვებით მოიგო — 6:4. მესხმა ამ ორთაბრძოლას, როგორც ჩანს, მთელი ფიზიკური ძალები შეალია და მეორე პარტია შედარებით ადვილად დათმო — 1:6. გრაფი გავიდა ნახევარფინალში, სადაც ნატალია ზვერევას შეხვდება.

ზვერევას მეოთხედფინალში საკმაოდ იოლი მეტოქე ჰყავდა ავსტრიელი იუდიტ ვიზნერის სახით, მაგრამ პირველი პარტია მან მაინც დათმო — 6:7. სამაგიეროდ, მეორე პარტია ძლიერად ჩაატარა და მშრალი ანგარიშით მოიგო — 6:0. დაძაბული ბრძოლა გაიმართა მესამე გადამწყვეტ პარტიაში. ზვერევას უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა და გაიმარჯვა — 6:4.

იტალიელმა სანდრა ჩეკინიმ დაამარცხა ფრანგი ნატალი ტოზია (7:6, 6:3) და ნახევარფინალში გავიდა, სადაც იუგოსლაველ მონიკა სელეშის შეხვდება. ამ უკანასკნელმა ერთი ტურით ადრე საკმაოდ ადვილად აჯობა ესპანელ კონჩიტა მარტინესს — 6:0, 6:3.

◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆

**საჭადრაკო კომპოზიცია** — **ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე**

# დავით გურგენიძე — ამომხსნელთა ჩემპიონი

**ჩვენი** რუბრიკის წინა გამოშვებაში ვიუწყებოდით, რომ განზრახული იყო საქართველოს პირველი დასწრებული პირადი პირველობის ჩატარება საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში. 28 აპრილს პროფკავშირების სპორტსაზოგადოების მძლეოსნობის მანეჟის საჭადრაკო კლუბში შეიკრიბა ამ ღირსშესანიშნავი შეჯიბრების 9 მონაწილე: თბილისელები — მ. გოგბერაშვილი, დ. გურგენიძე, გ. მარტყოფლიშვილი, დ. ჩინჩალაძე, ვ. კოლპაკოვი (სოხუმი), რ. მარცვალაშვილი (დუშეთის რ.), ა. მასიმოვი (ბოლნისის რ.), ჯ. მახათაძე (ზესტაფონი), შ. მელიქიძე (რუსთავი), შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ვ. ნეიძემ მათთვის საგანგებოდ შეარჩია 18 უსახელო ნაწარმოები.

დასწრებული ამოხსნის პროცესი, რომელიც მსაჯების მეთვალყურეობის ქვეშ და მეტოქეთა თანდასწრებით მიმდინარეობს, გარკვეულ დამატებით სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მონაწილემ არ უნდა გადააცილოს დროს, დაიოკოს აზარტი, იყოს გულმშვიდი და დაკვირვებული, აირჩიოს ამოხსნის ტაქტიკა, ყურადღებით და წესების ზუსტი დაცვით გააფორმოს პასუხი, წარუმატებლობის შემთხვევაში არ აჰყვეს პანიკას. მას უნდა ახსოვდეს, რომ შეჯიბრება 6 ტურისაგან შედგება და დაკარგულის ანაზღაურება მომდევნო ტურებში შეიძლება.

პირველ დღეს მონაწილეებს 9-9 ნაწარმოების ამოხსნა მოუხდათ კომპოზიციის სამ ჟანრში (ორსვლიანები, სამსვლიანები, ეტიუდები). დავალების შესრულებისათვის განკუთვნილი დრო შეადგენდა 3 საათს ანუ 180 წუთს (შესაბამისად 20 წუთი, 60 წუთი და 100 წუთი).

საკმაოდ გაუჭირდათ ამომხსნელებს სამსვლიანი ამოცანების დაძლევა. რასაკვირველია, საშინაო პირობებში ისინი უფრო ადვილად მიაგნებდნენ ავტორთა ჩანაფიქრს.

**ფ. მატოუშეკი, 1935**



**შამათი 3 სვლაში**

ჩეხური საამოცანო სკოლის წარმომადგენლის ეს ნაწარმოები შემდეგნაირად იხსნება: 1. კc5 მ:c5 2. ლh1+ (მუქარა) მფf2 3. მd1×, 1. ...ეf8 2. ლe4 ეe8 3, ეd1×, 1... მფ:d2 2. ლh6+ ეe3 3. კb4×. (სანიმუშო შამათები დაბმული ფიგურებით!) მეოთხე სანიმუშო შამათია: 1. ...g2 2. ლh4+ მფ:d2 3, ლb4×.

მეორე დღეს სასტარტო ღელვა დაცხრა და შედეგებიც უკეთესი გახდა. შეჯიბრება გაგრძელდა ნადიშამათების (50 წუთი), მრავალსვლიანების (80 წ.) და თვითშამათების (50 წ.) ამოხსნაში. ბულგარელი ავტორის ჩანაფიქრს თითქმის ყველა მონაწილემ მიაგნო.

**ნ. სტონევი, 1973**



**ნადიშამათი 2 სვლაში**

ამოცანას ორი ამოხსნა აქვს: I. 1. ed6 g8ე! 2. კf6 მ:f6×, II. 1. ed5 ე:g6 2. ეf8 gf8მX!

მაგრამ ცხადია, ამომხსნელთა სხვადასხვა გამოცდილებამ, კლასმა საბოლოოდ მაინც იჩინა თავი. პირველი ადგილი დამსახურებულად დაიკავა **დავით გურგენიძემ,** რომელმაც 90 შესაძლებლიდან 78 ქულა მოაგროვა და ამოხსნაზე 252 წუთი დახარჯა. პირველობამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ჩემპიონი არა მარტო თანამედროვეობის გამოჩენილი ეტიუდისტია, არამედ მზარდი ამომხსნელიც, რომლისგანაც საერთაშორისო სარბიელზე წარმატებებს უნდა ველოდოთ. ალბათ, შორს არ უნდა იყოს ის დრო, როცა საქართველოს ამომხსნელები მსოფლიოს პირველობებშიც მიიღებენ მონაწილეობას და ამიტომ საჭიროა კომპოზიციის ამ დარგის განვითარებაზეც მეტად ვიზრუნოთ. II საპრიზო ადგილი დაიკავა სოხუმელმა ინჟინერმა **ვიქტორ კოლპაკოვმა შედეგით:** 68 ქულა — 254 წუთი. III ადგილზეა კაზრეთელი მეხანძრე **აგშინ მასიმოვი:** 63 ქ. — 331 წ. სამივე გამარჯვებულს — გადაეცა საქართველოს სპორტსახკომის მედლები და დიპლომები. შედარებით წარუმატებლად გამოვიდა ცნობილი პრობლემისტი და ამომხსნელი ჯემალ მახათაძე (45 ქ. — IV ადგილი). შეჯიბრებამ დაგვანახა, რომ ამომხსნელებს სერიოზული წარმატების მისაღწევად სათანადო წინასწარი ვარჯიში და სპორტულ ფორმაში ყოფნა სჭირდებათ. V ადგილზეა პრობლემისტი რევაზ მარცვალაშვილი (40 ქ.), რომლისგანაც მომავალში უკეთეს შედეგებს უნდა ველოდოთ.

კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიამ (რ. თავარიანი, ი. აკობია, ე. კვეზერელი). მადლობას იმსახურებს კარგი მასპინძლობისათვის მანეჟის საჭადრაკო კლუბი (ხელმძღვანელი ო. ალხანიშვილი).

პირველობაში ერთგვარი თანამონაწილეობის მიზნით მკითხველებს ამოსახსნელად ვთავაზობთ ოთხსვლიანს, რომელიც პირველობაზე საკმაოდ „კერკეტი კაკალი" აღმოჩნდა.

**მ. ჰაველი, 1913**



**შამათი 4 სვლაში**

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

# სამი სპეციალური ტირაჟი



**1990 წლის** 8-21 ივნისს ჩატარდება სპეციალური ტირაჟი „C-5", რომელშიც უნდა ამოიცნოთ ის ექვსი გუნდი, რომლებიც პირველ ადგილებს დაიკავებენ იტალიის საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის ქვეჯგუფებში.

**ლატარიის პირობები ასეთია:**

1. „C-5" სპეციალურ ტირაჟში მონაწილეობენ მხოლოდ ლატარია „სპორტლოტო 5 36"-დან ბილეთები. ამ ლატარიის 10-ტირაჟიანი ბილეთები მონაწილეობენ როგორც ათი ერთტირაჟიანი ბილეთები (ათმაგად).

2. სპეცტირაჟში მონაწილეებმა უნდა ამოიცნონ ის ექვსი (6) გუნდი, რომლებიც პირველ ადგილებს დაიკავებენ „ა", „ბ", „გ", „დ", „ე", და „ვ" ქვეჯგუფებში. ამისათვის ბილეთის სათამაშო ვარიანტში „X" ნიშნით უნდა გადაიხაზოს ის 6 ციფრი, რომლებითაც თქვენი არჩეული გუნდები არიან აღნიშნული რიგითი ნომრის მიხედვით. ბილეთის სამივე ნაწილი უნდა შეივსოს ერთნაირად. ტირაჟის ნომრის მიმანიშნებელ უჯრაში უნდა ჩაიწეროს „C-5".

3. სპეცტირაჟისთვის შევსებული ბილეთები მიიღება ლატარია „სპორტპროგნოზის" 22-ე ტირაჟის ბილეთების მიღების ვადებში.

4. დაწესებულია მოგებათა ორი ჯგუფი: 6 გამოცნობილი გუნდის მოსაგებ ფონდში ჩაირიცხება სპეცტირაჟის მოსაგები ფონდის 40%, 5 გამოცნობილი გუნდისაში — 60%.

5. 10-ტირაჟიანი ბილეთების მფლობელთა შორის, რომლებიც სწორად გამოიცნობენ 6 გუნდს, გათამაშდება „ვოლგა" გაზ-24-10 მარკის ხუთი ავტომანქანის ურიგოდ შეძენის უფლება.

გათამაშება გაიმართება 1990 წლის 8 ივლისს „სპორტლოტოს" 27-ე ტირაჟის გათამაშებისას და ნაჩვენები იქნება ცენტრალური ტელევიზიით.

6. ავტომანქანების ურიგოდ შესაძენი საბუთების გაფორმება იწარმოებს სპორტული ლატარიების ადგილობრივ საწარმოებში დადგენილი წესის მიხედვით.

აქვე გთავაზობთ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდების სიას მინიჭებული ნომრების მიხედვით:

**„ა" ჯგუფი**

1. იტალია
2. ავსტრია
3. აშშ
4. ჩსფრ

**„ბ" ჯგუფი**

5. არგენტინა
6. კამერუნი
7. სსრ კავშირი
8. რუმინეთი

**„გ" ჯგუფი**

9. ბრაზილია
10. შვეცია
11. შოტლანდია
12. კოსტა-რიკა

**„დ" ჯგუფი**

13. გფრ
14. იუგოსლავია
15. არაბთა გაერთიანებული საემიროები
16. კოლუმბია

**„ე" ჯგუფი**

17. ბელგია
18. სამხრეთ კორეა
19. ურუგვაი
20. ესპანეთი

**„ვ" ჯგუფი**

21. ინგლისი
22 ირლანდია
23. ჰოლანდია
24. ეგვიპტე

**1990 წლის** 30.VI—1.VII ჩატარდება სპეციალური ტირაჟი „C-6", რომელშიც უნდა ამოიცნოთ ის ოთხი გუნდი, რომლებიც გავლენ იტალიის საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში.

**ლატარიის პირობები ასეთია:**

1. „C-6" სპეციალურ ტირაჟში მონაწილეობენ მხოლოდ ლატარია „სპორტლოტო 5 36"-დან ბილეთები. ამ ლატარიის 10-ტირაჟიანი ბილეთები მონაწილეობენ როგორც ათი ერთტირაჟიანი ბილეთები (ათმაგად).

2. სპეცტირაჟში მონაწილეებმა უნდა ამოიცნონ ის ოთხი (4) გუნდი, რომლებიც გავლენ მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში. ამისათვის ბილეთის სათამაშო ვარიანტში „X" ნიშნით უნდა გადაიხაზოს ის 4 ციფრი, რომლებითაც თქვენი არჩეული გუნდები არიან აღნიშნული რიგითი ნომრის მიხედვით. ბილეთის სამივე ნაწილი უნდა შეივსოს ერთნაირად. ტირაჟის ნომრის მიმანიშნებელ უჯრაში უნდა ჩაიწეროს „C-6".

3. სპეცტირაჟისთვის შევსებული ბილეთები მიიღება ლატარია „სპორტპროგნოზის" 24-ე ტირაჟის მიღების ვადებში.

4. მოგება გაიცემა მხოლოდ 4 გუნდის გამოცნობის შემთხვევაში.

5. 10-ტირაჟიანი ბილეთების მფლობელთა შორის, რომლებიც სწორად გამოიცნობენ ოთხივე გუნდს, გათამაშდება „ვოლგა" გაზ-24-10 მარკის ხუთი ავტომანქანის ურიგოდ შეძენის უფლება.

გათამაშება გაიმართება 1990 წლის 15 ივლისს „სპორტლოტოს" 28-ე ტირაჟის გათამაშებისას და ნაჩვენები იქნება ცენტრალური ტელევიზიით.

6. ავტომანქანების ურიგოდ შესაძენი საბუთების გაფორმება იწარმოებს სპორტული ლატარიების ადგილობრივ საწარმოებში დადგენილი წესის მიხედვით.




• • •

**1990 წლის** 7-8 ივლისს ჩატარდება სპეციალური ტირაჟი „C-7", რომელშიც უნდა ამოიცნოთ სამი (3) გუნდი, რომლებიც 1, 2 და 3 ადგილებს დაიკავებენ იტალიის საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატში.

**ლატარიის პირობები ასეთია:**

1. „C-7" სპეციალურ ტირაჟში მონაწილეობენ მხოლოდ 92 კაპიკიანი „სპორტპროგნოზის" ბილეთები.

2. სპეცტირაჟში მონაწილეებმა უნდა ამოიცნონ ის სამი გუნდი, რომლებიც 1, 2, 3 ადგილებს დაიკავებენ მსოფლიო ჩემპიონატში. ამისათვის „სპორტპროგნოზის" ბილეთის პირველ სათამაშო ვარიანტში უნდა ჩაიწეროს იმ გუნდის რიგითი ნომერი, რომელიც I ადგილს დაიკავებს ჩემპიონატში, მეორე ვარიანტში იმ გუნდის ნომერი, რომელიც II ადგილზე გავა, მესამე ვარიანტში — რომელიც III ადგილზე გავა. ბილეთის სამივე ნაწილი უნდა შეივსოს ერთნაირად.

ტირაჟის ნომრის მისანიშნებელ უჯრედში უნდა ჩაიწეროს „C-7".

3. „C-7" სპეცტირაჟისთვის შევსებული ბილეთები მიიღება „სპორტპროგნოზის" 25-ე ტირაჟის ბილეთების მიღების ვადებში.

4. მოგება გაიცემა მხოლოდ გუნდების სწორად გამოცნობისა და მათი ზუსტი თანმიმდევრობით განლაგების შემთხვევაში.

5. იმ ბილეთების მფლობელთა შორის, რომლებიც გამოიცნობენ სამივე გუნდსა და მათ მიერ დაკავებულ ადგილებს, გათამაშდება „ჟიგული" ვაზ-2109 მარკის ხუთი ავტომანქანის ურიგოდ შეძენის უფლება.

გათამაშება გაიმართება 1990 წლის 22 ივლისს „სპორტლოტოს" 29-ე ტირაჟის გათამაშებისას და გადაიცემა ცენტრალური ტელევიზიით.

6. ავტომანქანების ურიგოდ შესაძენი საბუთების გაფორმება იწარმოებს სპორტული ლატარიების ადგილობრივ საწარმოებში დადგენილი წესის მიხედვით.

აქვე გთავაზობთ „C-7" სპეცტირაჟისთვის „სპორტპროგნოზის" ბილეთის შევსების ნიმუშს.

# მქმეს სპონსორმეს

**ამერიკელ** ველოსიპედისტ ქალს ინგა ტომპსონს, რომელმაც შარშანდელ „ტურ დე ფრანსში" მესამე ადგილი დაიკავა, კინოფილმში იღებენ.

— სპორტს, რა თქმა უნდა, თავს არ ვანებებ, განაცხადა მან, კინოში გადაღებით მინდა დავაინტერესო ამერიკელი სპონსორები, რომლებიც ველოსპორტისთვის ფულს, რატომღაც, ვერ იმეტებენ.

ტომპსონმა წლეულს დაკარგა რამდენიმე მეცენატი, მაგრამ ეს მისი ბრალი არ იყო. უბრალოდ, ოთხმა მსხვილმა ამერიკულმა კორპორაციამ („საუტენლენდი", „ლოური", „სანდერსი" და „ლიკრა") რატომღაც, ზურგი შეაქცია ველოსპორტს და შეწყვიტა მისი დაფინანსება.

— შარშან „ტურ დე ფრანსში" ჩვენი გუნდი ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე გამოდიოდა. არადა, ტომპსონის აზრით, ასეთი ძლიერი კოლექტივი ამერიკას არასდროს ჰყოლია.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ასკ-ის სტადიონი
(ბოჭორმის ქ. №18)
ფეხბურთი ● 22 მაისი
საქართველოს ეროვნული
თასის გათამაშება
„მრეტები" (თბილისი) —
„შუქურა" (ქობულეთი)
დასაწყისი 16 საათზე.

ინდექსი 86485. საქართველოს კპ ცკ-ს გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. X I უე 00351